

მასწავლებელთა გაძლიერების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო  
საჭიროების მქონე მოსწავლეებთან სწავლა-სწავლების პროცესში

სალომე დევიძე, ბარბარე მთიბელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სპეციალური განათლება

ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

„წარმოდგენილი პრაქტიკის კვლევის ავტორები, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ნაშრომი ორიგინალურია. მასში არ არის გამოყენებული სხვა ავტორთა ისეთი მეცნიერული თვალსაზრისი, დებულება, თეორია თუ კვლევის შედეგი, რომელიც მითითებული არ არის დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული ეთიკის ნორმები.

ნაშრომში გარკვეული პასაჟები გამოყენებულია ჩვენს მიერ კურსის „აკადემიური წერა“ ფარგლებში შესრულებულ სიმულაციურ სამაგისტრო ნაშრომში.“

სალომე დევიძე

ბარბარე მთიბელაშვილი

## აბსტრაქტი

საკვალიფიკაციო ნაშრომი აანალიზებს და შეისწავლის მასწავლებელთა საჭიროებებს სსსმ<sup>1</sup> მოსწავლეებთან სწავლა-სწავლების პროცესში. აგეთვე მოიცავს ჩარევის სტრატეგიების მნიშვნელობას მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ინკლუზიური განათლების გაუმჯობესება ჩვენს ქვეყანაში უკვე საკანონმდებლო და სახელისუფლებლო დონეზე განიხილება, ზოგიერთი ფუნდამენტური პრობლემა ამ სფეროში კვლავ გადაუჭრელია. სსსმ მოსწავლეების ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარუფლებიანობა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. სწორედ ამ მოცემულობამ განაპირობა ჩვენი კვლევის ინტერესი: ერთი მხრივ, განვსაზღვროთ, რა ხელის შემშლელი ფაქტორები აქვთ პროცესში ჩართულ ყველაზე მნიშვნელოვან აქტორებს - მასწავლებლებს და მეორე მხრივ, დავინახოთ აისახება თუ არა პოზიტიურად მათ საქმიანობაზე შესაბამისი ეფექტური ჩარევის სტრატეგიები.

დღესდღეობით, საკმაოდ ბევრი კვლევა თუ სტატია მოიპოვება მასწავლებლების საჭიროებებზე სსსმ მოსწავლეებთან სწავლების დროს, თუმცა იშვიათად შევხვდებით კვლევას, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ტიპის ჩარევის მნიშვნელობასა და ეფექტიანობას. ამიტომაც, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი - როგორც მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა, ისე სიტუაციის შესაბამისად ხელშემწყობი სტრატეგიების დაგეგმვა და განხორციელება უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში, საინტერესოა იმ კუთხით, რომ გვანახებს, როგორი ტიპის ჩარევამ რა შედეგი შეიძლება გამოიღოს.

ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე: „მასწავლებელთა გაძლიერების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან სწავლა-სწავლების პროცესში“, რომელიც განხორციელდა ქალაქ თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. კვლევაში გამოყენებულია შერეული (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი) კვლევის მეთოდები. ცვლადები კი შემდეგნაირად

---

<sup>1</sup> გან.: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

განისაზღვრა: დამოუკიდებელი ცვლადი - მასწავლებელთა საჭიროებიდან გამომდინარე შესაბამისი რესურსის გამოყენება, დამოკიდებული ცვლადი - მასწავლებელთა კომპეტენციის დონე.

კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ღია და დახურული კითხვებით (მასწავლებელთა საჭიროებების დასადგენი ტესტი). ხოლო კომპეტენციის გასაზომად - სკალირების მეთოდი (10 ქულიანი) მასწავლებლის კომპეტენციის შესაფასებლად სკალირების მეთოდის ადაპტირება მოხდა წინასწარ შედგენილ ანკეტაში. დასახელებულ და იდენტიფიცირებულ საჭიროებებს მოეძებნა საერთო მახასიათებლები, განთავსებული იქნა შესაბამის კატეგორიებში. იმის დასაანახად, თუ რამდენად შეესაბამება მასწავლებლის მიერ შევსებული კითხვარი რეალურ სურათს, დავაკვირდით უშუალოდ სასწავლო პროცესს.

კვლევის მეორე ნაწილში, მასწავლებელთა გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე, შევიმუშავეთ და გამოვიყენეთ ჩარევის შემდეგი სტრატეგიები: გავუწიეთ მასწავლებელს სუპერვიზია, მივაწოდეთ ადაპტირებული, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მორგებული დამატებითი მასალები და რთული ქცევის მართვის რეკომენდაციები.

კვლევის საწყის ეტაპზე შემუშავებული გეგმონდა კვლევის ჰიპოთეზა. ჰიპოთეზის ერთ-ერთი დებულება, რომ „მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისას საჭიროებენ, როგორც მატერიალურ ასევე არამატერიალურ რესურსებს, თუმცა უფრო მეტად იკვეთება მატერიალური რესურსების დეფიციტი“, ნაწილობრივ გამართლდა. გამოვლინდა როგორც მატერიალური ისე არამატერიალური საჭიროებები, თუმცა თანაბარი მნიშვნელობითა და დეფიციტით. რაც შეეხება ჰიპოთეზის მეორე დებულებას: „მასწავლებელთა კომპეტენციისა და ინფორმირებულობის ამაღლების საკითხში ჩარევის მექანიზმების შემუშავება და განხორციელება პოზიტიურ გავლენას ახდენს მასწავლებელთა შემდგომ საქმიანობაზე.“ სრულად გამართლდა. ჩვენი, როგორც კონსულტანტების ჩარევა უშუალოდ საგაკვეთილო პროცესის დროს, ეფექტური

აღმოჩნდა, რაც განისაზღვრა სსსმ მოსწავლის მეტი ჩართულობით, აქტიურობითა და მოტივაციის ამაღლებით (მისივე ინიციატივა მონაწილეობა მიეღო აქტივობებში).

**საძიებო სიტყვები:** ინკლუზიური განათლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, მასწავლებლის საჭიროება.

## **Abstract**

The thesis statement analyzes and studies the needs of teachers in the teaching-learning process with students with special educational needs. In addition it also includes the importance of intervention strategies to improve student's academic achievement. Although the improvement of inclusive education in our country is already being considered by the legislative and governmental levels, some fundamental problems in this field still remain unresolved. Equality of access to qualitative education for students with special educational needs still stands as a challenge. This fact has led to the interest of our research: firstly, to determine what factors are hindering the most important actors involved in the process - teachers, and on the other hand, to see if the appropriate effective intervention strategies will have a positive impact on their activities.

Nowadays, quite a lot of research or articles are obtained on the needs of teachers when teaching students with special educational needs, although it is rare to find research that determines the importance and effectiveness of different types of intervention. Therefore, the purpose of the research is to identify the needs of teachers, as well as to plan and implement strategies to support the circumstances directly in the lesson process. The purpose is interesting in terms of showing what type of intervention can cause specific results.

The paper is a report of a practice research study on the topic: "Teacher Empowerment Program in the process of teaching and learning with students with special educational needs", which was implemented in Tbilisi Public School N159. Mixed (both quantitative and qualitative) research methods are used in the research. The variables were defined thuswise: independent variable - the usage of appropriate resources based on the needs of teachers, dependent variable - competence level of teachers.

In the initial stage of the research, a structured interview with open and closed questions (test to identify teachers' needs) was conducted. To measure competence, a scaling method (10 points) was used. The scaling method was adapted to assess teachers' competence in a pre-compiled

questionnaire. The named and identified needs were classified with common characteristics and placed in appropriate categories. To comprehend how accordant the questionnaire filled in by the teacher is with the actual image, we directly observed the learning process.

In the second part of the research, based on the defined needs of teachers, we developed and implemented effective intervention strategies: we supervised the teacher, provided additional materials adapted to the individual curriculum, and gave recommendations for managing complex behavior.

At the commencing stage of the research we had developed a research hypothesis. One of the implications of the hypothesis that "teachers need both material and intangible resources when working with students with special educational needs, although there is a greater scarcity of material resources," has been partially confirmed. Both tangible and intangible needs were identified, whereas with equal significance and insufficiency. As for the second statement of the hypothesis: "The development and implementation of mechanisms for intervention to raise competence and awareness of teachers has a positive impact on the further occupation of teachers" was entirely justified. Our intervention as a recommender directly during the lesson process proved to be effective, which was determined by the greater involvement, activity and motivation of the students with special educational needs (he took the initiative to participate in the activities).

**Keywords:** inclusive education, student with special educational needs, teacher needs.